საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

31 ივლ 2024 წ.

KA000024266752924

№ 2024/3346

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გაბიტაშვილს

რეკომენდაცია

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] ავტომანქანის დაბრუნების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] საქმე.[1] რომლის თანახმად, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, [redacted] ჩამოართვეს კუთვნილი ავტომანქანა, როგორც ნინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შეძენილი ნივთი. **მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, [redacted] საკუთრების უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვის ფაქტი გამოიკვეთა.**

ფაქტობრივი გარემოებები

სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის, 2023 წლის 27 ნოემბრის წერილის თანახმად,[2] მოქალაქე [redacted] 2019 წლის 22 აგვისტოს შეიძინა ავტომანქანა „[redacted] საიდენტიფიკაციო ნომრით - [redacted] 1976-32 და დაარეგისტრირა სახელმწიფო ნომრით - [redacted] 18, [redacted] მითითებული ავტომანქანის საკუთრების გადასახადსა და სხვა ხარჯებს იხდიდა და 2023 წლის 29 აგვისტომდე, ავტომანქანით შეუფერხებლად სარგებლობდა. 2023 წლის 23 აგვისტოს მითითებულმა ავტომანქანამ დაუბრკოლებლად გადაკვეთა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის ჩრდილოეთის საბაჟო დეპარტამანეტის „ბავრას" საბაჟო საგუშაგო. თუმცა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციის აღსრულების ორგანოების მიერ, მითითებული ავტომანქანის მიმართ, საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.

სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის წერილის თანახმად, [redacted] განმარტებით, ზემოაღნიშნული ავტომანქანა საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ გადაყვანილ იქნა ქ. ახალციხეში, სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე და არ დაბრუნებია მას.

სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაცია.[3]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე, წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ამოღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის ინტერპოლის მიერ ძებნილი ავტომანქანა „BMW X6", სომხეთის რესპუბლიკის სარეგისტრაციო ნომრით - [redacted] საიდენტიფიკაციო ნომრით - [redacted] და განთავსდა დაცულ ავტოსადგომზე. რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყებიდან გამოთხოვილ და მიღებული იქნა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისა და დაზარალებული პირების შესახებ. 2023 წლის 7 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის შესაბამის უწყებას კვლავ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებამ დაზარალებულისთვის 90 დღის ვადაში ავტომანქანის დაბრუნების შესახებ შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.

2024 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციიდან, სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანის შესახებ ინფორმაცია და დაზარალებული მხარისთვის წერილის გადაცემის დასტური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიღებული არ ჰქონდა.[4]

ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ, 2024 წლის 8 ივლისის მდგომარეობით, დაწყებული არ არის.[5]

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციით, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.[6]

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.[7]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის/მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება საგნის მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს მისი ვინაობის დადგენისთანავე უნდა გაუგზავნოს. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.[8]

ხოლო, თუ მესაკუთრემ/კანონიერმა მფლობელმა ამ მუხლის [საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი] მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება პროკურორის დადგენილებით უბრუნდება პირს, რომელმაც ის შეიძინა და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ (კეთილსინდისიერი შემძენი).[9]

კოდექსის თანახმად, ამ მუხლის შესაბამისად ნივთიერი მტკიცებულების ბედის გადაწყვეტა დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავოს საგნის კუთვნილების თაობაზე.[10]

წინამდებარე საქმის მიმოხილვა

ამდენად, როგორც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ მიღებული ინფორმაციით ირკვევა, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს დაახლოებით 1 წლის განმავლობაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ საგამოძიებო უწყებამ ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ავტომანქანის თავდაპირველ მესაკუთრეს, კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ჰქონოდა კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობა.

თუმცა, მიუხედავად გამოძიების მცდელობისა, უცნობია, მიეწოდა თუ არა ან/და როდის მიეწოდა მესაკუთრეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესახებ ინფორმაცია ძებნის ინიციატორი სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაცია) შესაბამისი ორგანოების მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გამოძიება მიმდინარეობს წინაწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის (ავტომანქანის) შეძენის ფაქტზე,[11] თუმცა, დღემდე ბრალდებულად ცნობილი არავინ არ არის.[12] გამოძიებას არ მოუპოვებია მტკიცებულება იმისა, რომ [redacted] შეძენის მომენტისთვის იცოდა, რომ ავტომანქანა დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში, მას წარედგინებოდა ბრალდება შესაბამისი დანაშაულის ჩადენაში.[13] ამდენად, [redacted] ავტომანქანის კეთილსინდისიერ შემძენად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მსგავს შემთხვევებში, ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ **თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება უნდა დაუბრუნდეს მის კეთილსინდისიერ შემძენს.** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალების შემძენმა, შეძენის მომენტში იცოდა ამ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის (ავტომანქანის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ მფლობელობიდან გასვლის) თაობაზე, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის შესახებ (პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან ერთად). ამ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი პროკურორს ეკისრება.[14]

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები სავსებით აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც სატრანსპორტო საშუალება მის კეთილსინდისიერ შემძენს უნდა დაუბრუნდეს. უფრო მეტიც - ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უსაფუძვლოდ უზღუდავს საკუთრების უფლებას [redacted] და აყენებს მას მატერიალურ ზარალს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ხსენებული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ავტომანქანის თავდაპირველ მესაკუთრეს, როგორც შესაძლო დაინტერესებულ პირს, არ ართმევს იმის უფლებას, რომ ავტომანქანის კუთვნილების თაობაზე იდავოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

დასკვნა

ამრიგად, სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე, საგამოძიებო უწყებამ შეასრულა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება ნივთის თავდაპირველი მესაკუთრის ინფორმირებისა და მისთვის ავტომანქანის დაბრუნების მიზნით. შესაბამისად, მოცემულ საქმეში სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ავტომანქანა დაუბრუნდეს მის კეთილსინდისიერ შემძენს [redacted].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ავტომანქანა „BMW X6“, სომხეთის რესპუბლიკის სარეგისტრაციო ნომრით - [redacted], საიდენტიფიკაციო ნომრით - [redacted].

რეკომენდაციის განხილვის შედეგების, გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] საქმე [redacted].
[2] 2023 წლის 24 ნოემბრის [redacted] წერილი.
[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 დეკემბრის [redacted], 2024 წლის 22 მარტის [redacted] და 31 მაისის [redacted] წერილები.
[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 18 იანვრის [redacted] 3 აპრილის [redacted] [redacted] და 19 აპრილის [redacted] წერილები.
[5] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 ივლისის [redacted] წერილი.
[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 1 და 2.
[7] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N1, მუხ. 1.
[8] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 2.
[9] იქვე, მუხ. 80, ნაწ. 4.
[10] იქვე. მუხ. 80, ნაწ. 7.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 186, ნაწ. 2, ქვეპუნ. „გ“.

[12] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 ივლისის [redacted] წერილი.
[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 186, ნაწ. 2, ქვეპუნ. „გ".
[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 5.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი